



NATIONAL
DEMOCRATIC
INSTITUTE

455 Massachusetts Avenue, NW, 8th Floor
Washington, DC 20001
(202) 728-5500
fax: (888) 875-2887
mail: contactndi@ndi.org
www.ndi.org

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის

საკონტაქტო პირი: თეონა ყუფუნია, NDI საქართველოს
პროგრამის ხელმძღვანელი(+995) 577 719134;
tkupunia@ndi.org

18 დეკემბერი, 2013

***NDI-ის კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით
ვითარდება; პირველად NDI-ის კვლევებში, გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ
საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია***

თბილისი – 2008 წლიდან დღემდე, პირველად, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 54 პროცენტი, მიიჩნევს, რომ საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია. გამოკითხულთა 53 პროცენტი, თვლის, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება, ხოლო 73 პროცენტი ფიქრობს, რომ არსებული ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს.

ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებს შორის სამუშაო ადგილები 62 პროცენტით, კვლავ პირველ ადგილზეა. 2013 წლის სექტემბერის კვლევასთან შედარებით იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს 4 პროცენტით გაიზარდა და ნოემბრის კვლევის მიხედვით, ეს მაჩვენებელი 69 პროცენტია. რაც შეეხება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს, კომუნალური მომსახურების ღირებულება პირველ ადგილზეა და მას პრიორიტეტულ საკითხად 52 პროცენტი ასახელებს.

გამოკითხულთა რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები კარგად ჩატარდა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, 10 პროცენტით არის გაზრდილი და 89 პროცენტს შეადგენს.

გამოკითხულთა 85 პროცენტი დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზანს საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი და რესპონდენტთა 68 პროცენტი მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში, განსხვავებით 11 პროცენტისგან, რომელიც საქართველოს ევრაზიის კავშირში გაწევრიანებას ემხრობა.

„გამოკითხულები მხარს უჭერენ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას, ოპტიმისტურად არიან განწყობილი დემოკრატიისა და ქვეყნის განვითარების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს, გაიზარდა, რესპონდენტები ფირობენ, რომ არსებული ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს და აღნიშნავენ, რომ სამუშაო ადგილები და კომუნალური მომსახურების ღირებულება პრიორიტეტულ საკითხებს წარმოადგენს მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ“, - ამბობს NDI საქართველოს დირექტორი, ლუის ნავარო.

კვლევა ამა წლის 13 ნოემბრიდან 27 ნოემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,915 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ქართულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. მასში ასახულია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიის, რეფორმების და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების მიმართ. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2%.

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შედეგების საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRIC).

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org